ოქმი:**ო63. 6326174001**
თარიღი:**23/06/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 16

ქ. სამტრედია. 12 ივნისი, 2026 წელი.

2026 წლის 12 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, ნათია პაპავა,ირაკლი მელაშვილი, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ჯონი თევზაძე, ნუგზარ ნუცუბიძე, თენგიზ ცაგურია, პაატა კოხრეიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.
2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოჩინებულში მე-5 ქუჩის სახელდების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

2. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 4 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. ქალაქ სამტრედიაში, ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე 166.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.1093) საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის შემადგენლობისა და ლიდერის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **განათლების, კულტურის,** ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვა.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავ-რე,

ჯ. თევზაძე/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ** საკითხთა სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვა.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავ-რე, ნ.ნუცუბიძე/

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **საფინანსო-საბიუჯეტო** სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვა.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავ-რე, გ.არველაძე/

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ინფრასტრუქტურის,** სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვა.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავ-რე, მ.უღრელიძე/

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ზედამხედველობის** სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვა.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავ-რე, მ.უღრელიძე/

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ეკონომიკური განვითარების,** ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული

მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვა.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავ-რე, მ.უღრელიძე/

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ადმინისტრაციული სამსახურის** მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვა.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავ-რე, მ.სირბილაძე/

12. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, სოფელ გამოჩინებულის მცხოვრებთა 2026 წლის 13 მარტის კოლექტიური განცხადება, რომლითაც ითხოვენ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოჩინებულში მე-5 ქუჩას შეეცვალოს სახელი და მას ეწოდოს ფილიმონ ქორიძის ქუჩა. საკითხი განიხილა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ. ჩატარდა კომისიის გასვლითი სხდომა. კანონის შესაბამისად, კომისიის სხდომის ოქმები და შესაბამისი დოკუმენტაცია გადაეგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიას, საიდანაც მივიღეთ დასკვნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიეცეს თანხმობა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოჩინებულში მე-5 ქუჩის სახელის შეცვლისა და ფილიმონ ქორიძის სახელის მინიჭების შესახებ.

საკითხი განიხილა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 3 ივნისის*** N62-622615440 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 4 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების საკითხს.

საკითხი განიხილა საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მოწონებულ იქნას, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 4 ინფრასტრუქტურული პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)			პროექტის შესასრულებელი ვადები		შენიშვნა
		სულ	(რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)	მ.შ. თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	
	1	2		3	4	5	6
1	სოფელ პირველ ნიგორზღვაში საჯარო სკოლიდან ოფეთის ცენტრალურ გზამდე ც/ბ-ის საფარის მოწყობის სამუშაოები	873620	829939	43681	ივლისი, 2026 წელი	ოქტომბერი, 2026 წელი	
2	სოფელ კეთილაურში არმირებული ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები	1227900	1166505	61395	ივლისი, 2026 წელი	ოქტომბერი, 2026 წელი	
3	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე ნიგორზღვაში მე-9 ქუჩის და (11-ე ქუჩის ნაწილის) სარეაბილიტაციო სამუშოები	368220	349809	18411	ივლისი, 2026 წელი	ოქტომბერი, 2026 წელი	
4	სოფ. გომში N10 ქუჩაზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები	51120	48564	2556	ივლისი, 2026 წელი	ოქტომბერი, 2026 წელი	

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 3 ივნისის*** N62-6226154103 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება ქალაქ სამტრედიაში, ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე 166.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.1093) საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის საკითხს.

საკითხი განიხილა საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, ქალაქ სამტრედიაში, ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე 166.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.1093) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 33200

(ოცდაცამეტიათასორასი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 3300 (სამიათასსამასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 10000 (ათიათასი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარის, 2026 წლის 9 ივნისის N***63-63261606 მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის შექმნისა და ლიდერის არჩევის საკითხს.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი, რომლის თანახმად დამტკიცდეს, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის** პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით:

1. **ვაჟა სტურუა**
2. **გიორგი მეიშვილი**
3. **ნათია პაპავა**
4. **ირაკლი მელაშვილი**
5. **მანანა სირბილაძე**
6. **გოჩა არველაძე**
7. **ჯონი თევზაძე**
8. **ნუგზარ ნუცუბიძე**
9. **თენგიზ ცაგურია**
10. **მიხეილ კვანტალიანი**
11. **ხვიჩა ფანცულაია**
12. **გიორგი გაგუა**
13. **ტარიელ დვალიშვილი**
14. **ლაშა მუქერია**
15. **მერაბ თევზაძე**
16. **მაია ტალაბაძე**
17. **ლელა ჩორგოლაშვილი**
18. **ზაზა ადეიშვილი**
19. **როლანდ ეცადეიშვილი**
20. **გივი მურღულაია**
21. **მარიამ ცომაია**
22. **კირილე ბერაძე**
23. **ანა გეგეშიძე**
24. **ემზარ კრავეიშვილი**
25. **კობა ჟორჟოლიანი**
26. **ვარგისო ჩაჩუა**
27. **ქიშვარდ ღაღანიძე**

28. **შალვა მეფარიშვილი**
29. **ხვიჩა დარსაველიძე**

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის ლიდერად არჩეულ იქნა, ვაჟა სტურუა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 11-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) დამტკიცდა გადაწყვეტილება **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის შემადგენლობისა და ლიდერის დამტკიცების შესახებ.**

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 8 ივნისის*** N 62-6226159116 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, საქართველოს კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,გ.ა'' ქვეპუნქტისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილების მე-4 მუხლის, მე-4 პუნქტის, ,ა''ქვეპუნქტის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ 2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 31 მარტის (კვარტალური) ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ადმინისტრაციული სამსახურის** მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში. აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ, რომელსაც აქვს გარკვეული სახის შენიშვნები და რეკომენდაციები. კერძოდ,

1. სამსახურის ანგარიშში არ არის დეტალური ინფორმაცია დოკუმენტბრუნვის მიმართულებით. არ არის დაკონკრეტებული შემოსული, გასული და შიდა კორესპოდენციის რაოდენობა. რამდენია განხილული, აქედან რამდენს ეთქვა უარი და არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა.

2. ასახული აქვს იურიდიულ განყოფილებას რამდენი დავალება დამუშავდა ,მაგრამ არ არის ინფორმაცია განყოფილების მიერ განხორციელებული საქმიანობის, განხილული სამართლებრივი აქტების, სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმოებული საქმეების, მიღწეული შედეგებისა და შესრულებული სამუშაოების შესახებ.

3. არ არის წარმოდგენილი, საანგარიშო პერიოდში რამდენი განცხადება/ მომართვა შემოვიდა მოქალაქეთა პორტალის მეშვეობით, დაცული არის თუ არა ვადები და ხორციელდება თუ არა მონიტორინგი და რა დადებითი შედეგი მოიტანა მისმა დახერგვამ.

4. ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, რა მიზნობრივი პროგრამებია შემუშავებული.

5. დებულების მიხედვით, საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით, რა ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებს სამსახური და ვინ არის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი.

კომისიას, მიზანშეწონილად მიაჩნია სამსახურის ეფექტიანობისა და პროცესების სრულყოფის მიზნით, საკრებულოს მიერ გაცემულ იქნას რეკომენდაციები.

დაადგინეს: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ადმინისტრაციული სამსახურის** მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში მიღებულია ცნობად.

კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **განათლების, კულტურის,** ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ, რომელსაც აქვს გარკვეული სახის შენიშვნები და რეკომენდაციები:

1. არ არის წარმოდგენილი განათლებისა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა განვითარების გრძელვადიანი და წლიური სამოქმედო გეგმა.

2. სკოლამდელი სააღმზდელო დაწესებულების მართვის სფეროში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები.

3. რა კონკრეტული წინადადებები შეიმუშავა სამსახურმა, საანგარიშო პერიოდში განათლების, კულტურისა და კულტურული მემკვიდროების დაცვის სფეროში.

კომისიას, მიზანშეწონილად მიაჩნია სამსახურის ეფექტიანობისა და პროცესების სრულყოფის მიზნით, საკრებულოს მიერ გაცემულ იქნას რეკომენდაციები.

დაადგინეს: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **განათლების, კულტურის,** ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში მიღებულია ცნობად.

კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ნუგზარ ნუცუბიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ** საკითხთა სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ, რომელსაც ანგარიშის ირგვლივ აქვს შენიშვნები და რეკომენდაციები:

1. არ არის ანგარიშში, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა თუ არა უსახლკარო პირთა რეგისტრაცია .

2. არ არის ანგარიშში, უმუშევართა პირების რეგისტრაცია და არსებობის შემთხვევაში რა სახის პროფესიული გადამზადება და სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა ხორციელდება.

3. რამდენად რეგულარულად ახლდება მონაცემები მარტოხელა სტატუსის

მქონე პირების იდენტიფიკაცია. რამდენი ასეთი პირია რეგისტრირებული საანგარიშო პერიოდში.

4. რა პრევენციული პროგრამები განხორციელდა ბავშვთა უფლებების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

5. სამსახური ახდენს თუ არა სოციალური რისკის მქონე ბავშვების იდენტიფიცირებას, არის თუ არა გამოვლენილი საანგარიშო პერიოდში.

შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას, მიზანშეწონილად მიაჩნია სამსახურის ეფექტიანობისა და პროცესების სრულყოფის მიზნით, საკრებულოს მიერ გაცემულ იქნას რეკომენდაციები.

დაადგინეს: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ** საკითხთა სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში მიღებულია ცნობად.

კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **საფინანსო-საბიუჯეტო** სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ, რომელსაც ანგარიშის ირგვლივ აქვს შენიშვნები და რეკომენდაციები:

1. არ არის წარმოდგენილი მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხის ოდენობა კვარტლის მიხედვით და ფაქტიური შესრულება, შესაბამისად უნდა წარმოადგინოს.

2. არ არის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის შესახებ ინფორმაცია.

3. არ არის საფინანსო ზედამხედველობის შესახებ ინფორმაცია მიღებული ბიუჯეტის შესრულებაზე.

4. უნდა იყოს წარმოდგენილი ბუჯეტის შემოსულობების შესახებ, ინფორმაცია. გადასახდელების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ასევე გრანტებისა და სხვა შემოსულობების შესახებ.

5. ანგარიშში არ არის და უნდა წარმოადგინოს ბიუჯეტის ხარჯვის მიზნობრიობის, ეკონომიკური მიზანშეწონილობის და ეფექტიანობის ანალიზი.

6. არასრულყოფილად არის ნაშთის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისად უნდა წარმოადგინოს წინა წლის გადმოყოლილი ვალდებულება, ასახული, განაწილებული და თავისუფალი ნაშთის ოდენობა.

7. არ არის და უნდა წარმოადგინოს მუნიციპალური შესყიდვების გეგმა.

8. ანგარიშში არ არის მუნიციპალიტეტის პროგრამების საფინანსო მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია.

9. ანგარიშში უნდა იყოს 2026 წლის პირველ კვარტალში გაწეული საკასო გადარიცხვების შესახებ ინფორმაცია.

კომისიას, მიზანშეწონილად მიაჩნია სამსახურის ეფექტიანობისა და

პროცესების სრულყოფის მიზნით, საკრებულოს მიერ გაცემულ იქნას რეკომენდაციები.

დაადგინეს: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **საფინანსო-საბიუჯეტო** სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში მიღებულია ცნობად.

კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ინფრასტრუქტურის,** სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ, რომელსაც ანგარიშის ირგვლივ აქვს შენიშვნები და რეკომენდაციები.

1. **ინფრასტრუქტურის, სივრცითი** მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის წარმოდგენილ ანგარიშში არ არის აღნიშნული მაღალმთიანი მოსახლეობის წყლით მომარაგების საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია, რომელიც ერთ-ერთი პრობლემური საკითხია მუნიციპალიტეტში.

2. არ არის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ან დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, ზუსტი ინფორმაცია, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდით ხორციელდება. რა ეტაპზეა პროექტების მიმდინარეობა და შესრულება.

კომისიას, მიზანშეწონილად მიაჩნია სამსახურის ეფექტიანობისა და პროცესების სრულყოფის მიზნით, საკრებულოს მიერ გაცემულ იქნას რეკომენდაციები.

დაადგინეს: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ინფრასტრუქტურის,** სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში მიღებულია ცნობად.

კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ზედამხედველობის** სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ, რომელსაც ანგარიშის ირგვლივ აქვს შენიშვნები და რეკომენდაციები:

1. **ზედამხედველობის სამსახურის** მიერ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ჭანტურიას ქუჩაზე და ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ფიზიკური პირები, რომლებიც სავაჭროდ იყენებენ საერთო სარგებლობის სივრცეს, გაფრთხილებულნი არიან მხოლოდ სიტყვიერად. აღნიშნულ ტერიტორიაზე რა ღონისძიებები არის დაგეგმილი მოსაწესრიგებლად, ან თუ იგეგმება.

2. სრულყოფილი არ არის ინფორმაცია უნებართვო მშენებლობებთან დაკავშირებით და გატარებულია თუ არა კანონის შესაბამისი

ღონისძიებები.

კომისიას, მიზანშეწონილად მიაჩნია სამსახურის ეფექტიანობისა და პროცესების სრულყოფის მიზნით, საკრებულოს მიერ გაცემულ იქნას რეკომენდაციები.

დაადგინეს: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ზედამხედველობის** სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში მიღებულია ცნობად.

კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ეკონომიკური განვითარების,** ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ, რომელსაც ანგარიშის ირგვლივ აქვს შენიშვნები და რეკომენდაციები:

1. სამსახურში შემოსული წერილებიდან, არ არის აღნიშნული რა მნიშვნელოვანი წერილები იყო სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების მიმართულებით.
2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემული 5 უძრავი ქონებიდან, რომელი ქონება იქნა გადმოცემული.
3. ინვენტარიზაციის კომისიამ, ჩატარებული ინვენტარიზაციით რა დასკვნა დადო და შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტში არსებულ ქონებას.

კომისიას, მიზანშეწონილად მიაჩნია სამსახურის ეფექტიანობისა და პროცესების სრულყოფის მიზნით, საკრებულოს მიერ გაცემულ იქნას რეკომენდაციები.

დაადგინეს: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ეკონომიკური განვითარების,** ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში მიღებულია ცნობად.

კენჭისყრის შედეგად (11 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოჩინებულში მე-5 ქუჩის სახელდების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯ.თევზაძე/

2. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 4 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. ქალაქ სამტრედიაში, ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე 166.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.1093) საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ადმინისტრაციული სამსახურის** მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბ.გეგეშიძე/

/თანამომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავ-რე, მ.სირბილაძე/

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **განათლების, კულტურის,** ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი, ნ.მანჯგალაძე/

/თანამომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავ-რე, ჯ. თევზაძე/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ** საკითხთა სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი, ლ.ახობაძე/

/თანამომხსენებელი:შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავ-რე, ნ.ნუცუბიძე/

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **საფინანსო-საბიუჯეტო** სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი, დ.ბაღდავაძე/

/თანამომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავ-რის მ/შ ირ. მელაშვილი/

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ინფრასტრუქტურის,** სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი, ზურაბ გოგია/

/თანამომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავ-რე, მ.უღრელიძე/

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ზედამხედველობის** სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი, კახაბერ ნადირაძე/

/თანამომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავ-რე, მ.უღრელიძე/

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ეკონომიკური განვითარების,** ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ხელმძღვანელი, ნოე ივანიაძე.

/თანამომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავ-რე, მ.უღრელიძე/

11. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (11 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომა გაიმართება 2026 წლის 15 ივნისს, 11^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი